# დანართი №5 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს ინტერნაციონალური მარიფის სკოლები საქართველოში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე:
მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); იოსებ ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,); ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ |
|---|

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 400147541 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ.თბილისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ლისი,ლეო კვაჭაძის N 15 , მარნეული გოგებაშვილის N 1 |
| საფოსტო ინდექსი | 0186 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://ge.maarifschool.org/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | ge@turkiyemaarif.org |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 591234466 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 8250000599427* MES 8 25 0000599427 30.05.2025 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 17,18,19 ივნისი 2025წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობანაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | ქ. თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის ქ. N15 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის | საბაზო | ქართული | ქ. თბილისი, ლისი,ლეო კვაჭაძის ქ. N15 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის | საშუალო | ქართული | ქ. თბილისი, ლისი, ლეო კვაჭაძის ქ. N15 |

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობანაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის | დაწყებითი | ქართული | მარნეული, გოგებაშვილის 1 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის | საბაზო | ქართული | მარნეული, გოგებაშვილის 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის | საშუალო | ქართული | მარნეული, გოგებაშვილის 1 |

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტი შედგა 2025 წლის 17,18 და 19 ივნისს.ვიზიტმა მშვიდ და საქმიან გარემოში ჩაიარა შედგა ყველა კათედრის წარმომადგენელთან შეხვდრა დაისვა ყველა მნიშვნელოვანი კითხვა და გაცემულ იქნა ადექვატური და საქმიანი პასუხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| 500 | 94(თბილისი)/180(მარნეული) | 500 |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში 2019 წელს დაასრდა მაარიფის ფონდის ხელშეწყობით. საგულისხმოა, რომ სკოლა არ ეკუთვნის კერძო პირს, მაარიფის ფონდი თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებით დაარსდა და მსოფლიო მაშტაბით ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.

სკოლის რუტინა განსხვავებულია-დილა იწყება აერობიკით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის,- მათ შორის დირექციისთვის. მას მოჰყვება კითხვის დრო--15 წუთი, გაკვეთილების დაწყებამდე კითხულობს ყველა- მოსწავლე, მასწავლებელი, თანამშრომლები. კითხულობენ მათთვის სასურველ ლიტერატურას.

ზაფხულობით ასევე მაარიფის ფონდი თურქეთის უნივერსიტეტებში ეპატიჟება სკოლას და ცალკეულ პედაგოგებს პროფესიული განვითარებისთვის. ვიზიტის პერიოდში ერთი პედაგოგი 45 დღით სრული დაფინანსებით გაემგზავრა სტამულში.

ყოველი სემესტრის ბოლოს მოსწავლეები ფასდებიან მაარიფის ფონდის მიერ შემუშავებული ლიდერობის კრიტერიუმებით. ყოველი წლის ბოლოს ხდება მასწავლებელთა შეფასება, რაც აისახება სახელფასო პოლიტიკაზეც (წარმატების შემთხვევაში).

მოსწავლეები მონაწილეობენ ქსელურ (მსოფლიო მასშტაბით) კონკურსებსა და ოლიმპიადებში. არაფორმალური განათლება განსხვავებულად აქვს სკოლას დანახული-ინტერნაციონალური გარემოს შესაბამისად. კურსდამთავრებულები მაარიფის ფონდის სრული დაფინასებით სწავლობენ თურქეთის უნივერსიტეტებში და ცხოვრობენ კამპუსებში.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| სტანდარტი 1<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 1.1<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 1.2<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.2 | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კომპონენტი 3.4 და პროცესებ ადამიანებისა უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.5 და მატერიალური რესურსები ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კომპონენტი 3.6 საინფორმაციო<br>რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.7<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| სტანდარტი 4<br>მოსწავლეთა მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.1<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 4.2<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 500 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას) |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | ხარვეზი |
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | ხარვეზი |
| ინდიკატორი | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | ხარვეზი |
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |

[1] . გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N... | | |
| | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) | სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |
| | | |

V. რჩევა გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | რჩევა |
| ინდიკატორი N.... | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | რჩევა |
| ინდიკატორი N... | | |
| | | |
| | | |

| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | რჩევა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.4.2.1.2. | | არაქართულენოვან მოსწავლეთა უფრო ეფექტური ადაპტაციის მიზნით სასურველია ენის სწავლებასთან ერთად აქცენტი გაკეთდეს |

| | | |
|---|---|---|
| | | ემოციური ინტელექტის განვითარების პროცესზე.კერძოდ კომუნიკაციის უნარების განვითარებისა და ემოციების სწორად მართვის უნარების განვითარებზე. |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი და საბაზო საფეხური | მუსიკა |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.2.2.1.4. | | რჩევა: სასურველია საგანში **მუსიკა** ინდ. გეგმებში განხორციელდეს მრავალფეროვანი რესურსების დამატება. |
| ინდიკატორი N.2.2.1.3. | საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი (მარნეული,ლისი) | **საზოგადოებრივი მეცნიერებები** მნიშვნელოვანია კათედრის პრაქტიკის გაუმჯობესება განმსაზღვრელი რუბრიკების შემუშუშავებისას (მაგალითად, მე-7 კლასი, ისტორია და მე-10 კლასი, მოქალაქეობა), რათა თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები უკეთ იყოს დაზუსტებული საკითხთან მიმართებით და, შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმი უკეთ ფორმულირებული. |
| ინდიკატორი N.2.2.1.4 | დაწყებითი საფეხურისკურიკულუმი | **სახელმწიფო ენა**<br>სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N.2.2.1.5. | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი | **სახელმწიფო ენა**<br><br>სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში |
| ინდიკატორი N 2.3.1.1. | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი | **სახელმწიფო ენა**<br><br>სასურველია თუ სკოლა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის შეიმუშავებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნის შემოწმებაზე, არამედ გრძელვადიან მიზნებზე. |
| ინდიკატორი N 2.1.2.4. | საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი | **სახელმწიფო ენა** სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. |
| ინდიკატორი N2.3.1.1. | საბაზო და საშუალო საფეხურის ინდიკატორი | **სახელმწიფო ენა**<br><br>სასურველია სკოლამ მოსწავლეთა შედეგების ვალებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა ფაქტობრივი ენან მიზნებზე. |

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. კერძოდ, სკოლის მისიაა უზრუნველყოს უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისისი განათლების მქონე,კრიტიკულად,გლობალურად მოაზროვნე,დამოუკიდებელი,ტოლერანტი,ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი პიროვნების ჩამოყალიბებას,რომელიც უწყვეტი სწავლის მიზნებისთვის კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ,ისე საერთაშორისო დონეზე.
სკოლის ხედვაა, შექმნას განათლების გამორჩეული მოდელი,რომლის საშუალებითაც თანამედროვე ახალგაზრდა შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების,საჭირო უნარების,პიროვნული მისწრაფების უწყვეტ განვითარებას,რაც მისცემს მას პოტენციას,ოჯახის,ქვეყნის ტრადიციები დაიცვას ინერნაციონალურ გარემოში,ფეხი აუბას ახალ გამოწვევებს,მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვიტარების ტემპს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცეს.სკოლის დამფუძნებელი თურქეთის პარლამენტის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო ფონდია, სკოლა კი უდიდესი მსოფლიო ქსელის ნაწილია (55 ქვეყანა- 500- მდე სკოლა). ქართულმა მაარიფის სკოლამ აიღო ვალდებულება, ინტერნაციონალურ გარემოში მიღწევადი გახადოს სკოლის მისიის შესრულება. ამ მისიის შესრულებისას ეყდნობა შემდეგ ღირებულებებს:გუნდური მუშაობა, განვითარებასა და ხარისხზე ორიენტირება, გამჭვირვალობა და ღიაობა, მისი ღირსების დაცვა, კეთილდღეობის, ინიციატივების სწორი შეფასება და შესრულების ხელშეწყობა. მოსწავლის სკოლასთან მიკუთვნებულობის შეგრძნების, ნებისმიერ ეტაპსა და ვითარებაში მუდმივი მხარდაჭერა, მისი პიროვნების მიმღებლობისა და პატივისცემის, პერსონალური, მენტალური, ემოციური,

სოციალური, ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების განვითარებისა და მისთვის საუკეთესო ინტერესების დაცვა/რეალიზება. პასუხისმგებლობა, თანასწორობა, ინოვაციური მიდგომებისა და წარსული გამოცდილების გაზიარება.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ დადგინდა,რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.კერძოდ ამ პროცესს წინ უძღვოდა სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების ანკეტური გამოკითხვა,რომლის შედეგად გამოვლინდა მათი ინტერესები,მიმართულებების მიხედვით და პრიორიტეტები. შედეგების საფუძველზე მიღებული SWOT ანალიზის გათვალისწინებით ჯგუფის მიერ შექმნილი სამუშაო ვერსია, წარედგინა თურქეთის მარიფის დირექტორთა საბჭოს და ერთობლივად შემუშავდა საბოლოო ვერსია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი ანკეტური გამოკითხვის გაცნობის შედეგად დადგინდა,რომ სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს შესაძლებლო ეძლევა გამოავლინოს საკუთარი უნარები და სურვილები როგორც ქსელურად,ისე მსოფლიო მასშტაბით, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მუდმივი კომუნიკაციის პირობებში, აზრთა გაზიარების გათვალისწინებით ყველას მიეცეს პიროვნული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. ყოველ ხუთშაბათს სკოლის დირექცია პედსაბჭოსთან ერთად იკრიბება და მიმდინარეობს განხილვა სასკოლო გარემოში იმ პროცესებზე,რომლებიც განაპირობებენ სკოლის მისიის შესრულებას იმ ღირებულებებზე დაყდნობით,რაც ასახულია სკოლიის ფილოსოფიაში.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე,გამოკრულია როგორც ლისის ისე მარნეულის კამპუსში,მშობლებს მიეწოდებათ სოციალური ჯგუფების საშუალებით,მოსწავლეებს კი მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლის დასახელებაა-„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ და იგი შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების

მტკიცებულებები. დანართი N 1 სსგ დანართი N 2
სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი N 3
კითხვარი
დანართი N 4 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს მეთოდოლოგიის შემუშავების ეტაპებსა და მონაწილე პირებს.დოკუმენტის მიზანია დაადგინოს სკოლის განვითარების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები,სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მიმართულია სკოლის მისიის განსახორციელებლად.მასში აღწერილია

პროცესების მონიტორინგისა და ამ შედეგებზე დაფუძნებით ცვლილებების შეტანის მექანიზმებიც.ამ დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავს ხუთ ეტაპს.მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება,დამტკიცება,მონიტორინგი,საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები და სტრატეგიის ანგარიში და მის საფუძველზე წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2023 წელს და მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2023-2030წ) დოკუმენტი შეიცავს მისიისა და ხედვის შესაბამის მიზნებს, ამოცანებს და ამ ამოცანების შესაბამის აქტივობებს. ასევე წარმოდგენილია ამ აქტივობების განხორციელების მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მასზე რეაგირების მექანიზმები. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში დაცულია შემდეგი პრინციპები:თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება,გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის მიზნებთან და შესაბამისად სკოლის ფილოსოფიასთან, სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და ამ ამოცანებიდან გამომდინარე აქტივობებს, რესურსებს, პასუხისმგებელ პირებს და შესრულების ვადებს. სამოქმედო გეგმის შედგენისას, სკოლა ხელმძღვანელობს წინა წლის სამოქმედო გეგმის ანალიზის შედეგებით. სამუშაო ვერსიას სკოლის დირექტორი, მრჩევლთან ერთად წარუდგენს დასამტკიცებლად სკოლის გენერალურ დირექტორს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს,პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ვადებს,საჭირო რესურსს და შესრულების ინდიკატორებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.
დანართი N 5. მეთოდოლოგია
დანართი N 2 სტრატეგიული გეგმა
დანართი N 7 სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-11 მუხლი მოიცავს მონიტორინგის პროცესს.მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით,პროცესს ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ყოველი წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს წარადგენს პასუხისმგებელი პირი,ხოლო ყოველი 3 წლის შემდეგ კი წარადგენენ სტრატეგიული გეგმის შესრულების ანალიზს.მონიტორინგის პროცესი ხორციელდება დანართის ფორმით წარმოდგენილი ცხრილის შესაბამისად
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“დოკუმენტის მე-10 მუხლი განსაზღვრავს SWOT ანალიზის ჩატარების მიზნებს.კერძოდ,საფრთხეების წინასწარი შეფასება საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს და მინიმუმამდე შეამციროს შესაძლო ზიანი. როგორც სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისა და ანალიზის შედეგების გაცნობით დადგიდა SWOT ანალიზი საფუძვლათ უდევს მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა სკოლის „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“დოკუმენტის მე-12 მუხლის საფუძველზე,სტრატეგიული სამოქმედო გეგმის

განხორციელების შედეგები გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე,სოციალური ქსელში,ამ დოკუმენტის შესაბამისად გაზიარების საშუალებათ შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა,სკოლის სტენდი და სასკოლო საზოგადოებასთან უშულო კომუნიკაცია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის სკოლის მიერ წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგების ანალიზის გაცნობისას

დადგინდა რომ ყოველი წლის სამოქმედო გეგმა შესაბამისია სტრატეგიული გეგმის და ეფუძნება წლის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები. დანართი N 5
მეთოდოლოგია დანართი N 6 SWOT ის
ფორმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლამ წარმოადგინა შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი,რომლის მიხედვით სკოლის უმაღლესი, მართველობითი ორგანო არის მაარიფის ფონდი, რომელსაც ექვემდებარება მაარიფის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში-გენერალური დირექტორი, მას ექვემდებარება სკოლის დირექტორი (თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი). ზემოაღნიშნული დირექტორის წინაშე ანგარიშვალდებულია სკოლის ქართულენოვანი დირექტორის მოადგილე, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარებიან კათედრები. სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ბუღალტერი, სკოლის თურქულენოვანი დირექტორის კურატორობის ქვეშ არიან. დაწესებულებას ჰყავს მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, ეროვნული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ზედამხედველობა და კოორდინირება. სკოლის დირექტორი (თურქეთის წარმომადგენელი) კოორდინირებას უწევს არაქართულენოვანი მოსწავლეების ინტეგრირებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას სკოლის მიერ წარმოდგენილი „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში გაწერილია თითოეული სტუქტურული რგოლის უფლება-მოვალეობები.კერძოდ დოკუმენტში აღწერილია მთავარი მრჩევლის განათლების საკითხებში,ადმინისტრაციულ საქმეზე პასუხისმგებელი პირის,სოცმედიაზე პასუხისმგებელი

პირის,ბუღალტრის, თურქი დირექტორის, ქართველი დირექტორის მოადგილის, ფსიქოლოგის, სპეცმასწავლებლის, კემბრიჯის პროგრამის კორდინატორის, კათედრის ხელმძღვანელის, მასწავლებლ

ის,ექიმის,საქმისმწარმოებლის,ბურალტრის,კომუნიკაციის სამსახურის,კონსულტანტის,დამლაგებლის,მზარეულის,IT პერსონალის, ჭურჭლის მრეცხავის მოვალეობები. ანუ ყველა იმ რგოლის მოვალეობა ,რომლებიც ხელს უწყობენ იმ გარემოს შექმნას, რომელიც ხელსუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

დანართი N 8 სკოლის სტრუქტურა
დანართი N 9 შინაგანაწესი დანართი
N 10 წესდება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების აღმწერი და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დოკუმენტების შესაბამისად.ორივე დოკუმენტი ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას, სკოლის მიერ აღიარებულ ღირებულებებზე დაყდნობით.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" დოკუმენტის გაცნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლის მართვა დაფუძნებულია პრევენციულ ღონისძიებებზე.კერძოდ ამ დოკუმენტის მიხედვით ადამიანური რესურსების ხარისხიანი მართვის მიზნები გაწერილია შემდეგ ამოცანებათ: დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.პროფესიული განვითარება ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია იმყოფებოდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, ბაიბურთის უნივერსიტეტში, სადაც ესწრებოდნენ სპეციალურად ,,Workshop ", რომელშიც ჩართული იყო უშუალოდ უნივერსიტეტის რექტორი. მასწავლებლები დაესწრნენ მაარიფის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. ზაფხულის არდადეგებზე იგეგმება მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სტამბოლის უნივერსიტეტში.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის შერჩევის გამჭირვალე და სამართლიან სისტემას. კერძოდ ამ დოკუმენტის მე-10 მუხლის შესაბამისად კადრების შერჩევა ხორციელდება გამჭირვალეობის და ობიექტურობის პრინციპების დაცვით.პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ადგილზე ვიზიტისას სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა,რომ ამ ეტაპზე სკოლის ორივე კამპუსში (მარნეული და ლისი) დასაქმებულია 29 უფროსი, 7 წამყვანი, 6 მაძიებელი, 4 მოწვეული პედაგოგი ,5 მასწავლებლის ასისტენტი 5 თურქულის პედაგოგი. ყველა მათგანის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობას. ყველა მათგანის პირად საქმეში არის კანონმდებლობის შესაბამისად კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ორივე კამპუსში 2020 წლის შემდეგ მიღებულია-20 თანამშრომელი. ყველა მათგანის პირად საქმეში მოიპოვება ცნობები-სქებროვი თავისუფლებისა და ხელსეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის - ნასამართლეობის შესახებ,ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლის მიერ წარმოდეგნილი დოკუმენტის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ ადმინისტრაცია და კათედრების წარმომადგენლები კვირაში ერთხელ იკრიბებიან და

განიხილავენ როგორც მმართველობის ,ისე სწავლა-სწავლების პროცესებს,აანალიზებენ გამოვლენილ პრბლემებს,მათ გამომწვევ მიზეზებს და ერთობლივად ადგენენ გადაჭრის გზებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესის მე-18 და მე-19 მუხლები განსაზღვრავს წახალისების ფორმებსა და წესს. კათედრის ან შესაბამისი ზემდგომის წარდგინებით სკოლის დირექტორის ბრძანებით გაიცემა მადლობა, სიგელი, ფასიანი საჩუქარი ან ფულადი პრემია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

დანართი N11 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერული განვითარების პირობებს.სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი - საგანამანთლებლო პროცესი და პროფესიული განვითარება არის არა „დანიშნულების ადგილი“, რომელსაც ოდესღაც უნდა მივაღწიოთ, არამედ მუდმივი „მოგზაურობა“, ახალი პერსპერსპექტივები და ხედვები.პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პროცესები იკვეთება პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან თვით პერსონალის მხრიდან.სკოლის პერსონალის შეფასება და საჭიროებების დადგენა ასევე ხორციელდება შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.რომლის მიზანია სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა მუდმივი განვითარებისთვის.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პროცესების მართვასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და მის საფუძველზე წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას.გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხავადსხვა სახის ტერნინგები,საერტაშორისო პროგრამებში მონაწილეობა.ასევე „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დოკუმენტის მე-20 მუხლის მიხედვით შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ, დიფერენცირებულ ანალიზზე, ნაცვლად პასუხისა რა არის სწორი და რა არის არასწორი

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერული განვითარების პირობებს,ამ დოკუმენტის შესაბამისად პერსონალის კარიერული ზრდა დამყარებულია შეფასებაზე ,როგორც სწავლის საშუალებაზე.კარიერული ზრდის პროცესი ნებაყოფლობითია,ხელმისწავდომია და დამოკიდებულია კონკრეტული პერსონალის სურვილსა და საჭიროებაზე.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“დოკუმენტის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესებს.იმისთვის რომ თანამშრომელმა შეძლოს თავისი უნარების და ცოდნის გამოვლენა მნიშვნელოვანია მან წარმატებით გაიაროს გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი.ადაპტაციის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მოლოდინები,შეხვედრა და ოჯახის წევრობა.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები სკოლის შინაგანაწესის მე-18 მუხლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 21 მუხლის გაცნობის და სასკოლო საზოგადოებასტთან გასაუბრების შედეგად ვლინდება,რომ სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარების სტანდაკავშირებული ნებისმიერი ინციატივა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები. დანართი N 9 შინაგანაწესი დანართი N 12 ხარისხის
მართვის პოლიტიკა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ
ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს სკოლის მიერ შემუშავებული „ხარისხის მართვის დოკუმენტის „ გაცნობის და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება,რომ საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის-რისკების შეაფასება,სამოქმედო გეგმის შედგენა,შემოწმება,დასკვნის შედგენა უკუკავშირის საფუძველზე და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.ხარისხის უზრუნველყოფა ფასდება გარე შემფასებლის მიერ.კერძოდ საერთაშორისო ორგანიზაცია „მარიფის წარმომადგენლები ახდენენ პერიოდულ მონიტორინს შედეგების მიღწევის დასადგენად საჭიროებისამებრ შესაბამისი აქტივობების დადგენის მიზნით.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლის მიერ წარმოდგენილი „ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში მიმდინარე პროცესები იყოფა:მმართველობით (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა), ძირითად ( კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის მართვა) და დამხმარე პროცესებად (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის

მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება;ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირი შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა სკოლამ წარმოადგინა შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი,რომლის მიზანია შექმნას სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემა, დეტალურად გაიწეროს პროცესის თანმიმდევრობა და მიეცეს მას ორგანიზებული სახე

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის,თითოეულ მათგანთან გაფორმებული ხელშეკრულების და „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტის შესაბამისად, დოკუმენტის მიზანია სკოლაში უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევის უფლება,კერძოდ, მე-2 თავი ეძღვნება სკოლის პერსონალის უფლებების დაცვას.დამრიგებლები თითოეულ დოკუმენტს დეტალურად აცნობენ როგორც მოსწავლეებს სადამრიგებლო პროექტის ფარგლებში,ისე მშობელთა კრებებზე თუ დისტანციურად სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

დანართი N 23 მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული“ საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის სტრატეგია“,რომლის მე-3 თავი ეძღვნება არსებულ აუდიტორისთან კომუნიკაციის პროცესებს.კომუნიკაციის სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მშობელთა ჩართულობის ზრდა და ანგარიშვალდებულების სისტემის დანერგვა.ამ დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე აუდიტორია:სკოლის მოსწავლეები,მშობლები,კურსდამთავრებულები და თემი.ამ მიზნების მიღწევისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს ამოცანები:ერთიანი გზავნილების განსაზღვრა,სკოლის faecbook გვერდის აქტიურად გამოყენება **და** საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება.ასევე სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია დამრიგებლის დებულება,რომლის მე-3 მუხლი განსაზღვრავს დამრიგებლის მოვალეობებს. ამ მოვალეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის მშობელთან კომუნიკაციის ფორმებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლაში სრულად უზრუნველყოფილია მათი ჩართულობა მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.კერძოდ,პედაგოგიური საბჭო და კათედრები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრების მართვის პროცესებში ,ასევე აქტიურია სკოლაში მოსწავლეთათვითმმართველობა,რაც მტკიცდება ამ ორგანოთა ოქმების გაცნობის შედეგად.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

დანართი N 13 დამრიგებლის დებულება დანართი N
14 კომუნიკაციის სტრატეგია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 4 -დაცვის თანამშრომელი ლისის კორპუსში,მარნეულში 3 დაცვის თანამშრომელი და ინფრასტრუქტურა.სკოლის შენობა აღჭურვილია შესაბამისი სიგნალიზაციით,--97 - ვიდეო-

სათვალთვალო კამერით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე,მარნეულში 35 გარე და შიდა კამერა ფუნქციონირებს.სკოლამ წარმოადგინ შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში გენერალური დირექტორის 2023 წლის 30 აგვისტოს

N 2/71 ბრძანებით დამტკიცებული და 2023 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული ,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.ასევე წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა ორივე შენობისთვის. საქსპერტო კვლევითი ჯგუფის შპს ექსპერტ დეველოპმენტის მიერ გაცემული დასკვნა მარნეულის შენობის მდგრადობაზე,სამხარაულის საქსპერტო ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა ლისის შენობასთან დაკავშირებით.სკოლას ჰყავს ხეშეკრულების საფუძველზე გაფორმებული შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამშრომელი,რომლის ფუნქციაა როგორც მარნეულის,ისე ლისის ლოკაციაზე შრომის უსაფრთხოების დაცვა.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |

| | |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი<br>(საშუალო საფეხური- მარნეული) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამ დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები სასკოლო სასწავლო გეგმა, მისიით, სასკოლო კულტურით, საათობრივი ბადითა და ყველა სხვა ნაწილით მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო გეგმის შედგენამდე მიმდინარეობს ინტენსიური შეხვედრები სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომ გამოიკვეთოს მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესები. უპირატესობა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს ენიჭება, საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ, პიროვნულ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სკოლას აქვს შესაძლებლობა, აქტიურად გამოიყენოს IT ტექნოლოგიები- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სმარტბორდებით, რაც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს და მოსწავლეებს უვითარებს შესაბამის უნარებს, საშუალებას აძლევს საინტერესო მეთოდებით მიიღონ ცოდნა. მოსწავლეთა ინტერესებსი და საჭიროებები დგინდება კითხვარის საშუალებით, ასევე დიაგნოსტიკური წერის ანალიზის მიხედვით. სასწავლო წლის დაწყებამდე იმართება მშობლებთან შეხვედრები, დიაგნოსტიკისთვის ასევე გამოყენებულია ელექტრონული ჟურნალი, ყოველკვირეული შეხვედრები, თიმსის პლატფორმა, ფეისბუკ ჯგუფები, პირადი მიმოწერა, სატელეფონო საუბრები. ამ აქტივობით მიღებულ ინფორმაციას გათვალისწინებულია კურიკულუმის დაგეგმვისას, კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ასევე, დიდი ყურადღება ექცევა სადამრიგებლო პროგრამისა და კლუბური მუშაობის თემატიკას.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ თანამშრომლობითა და თანამონაწილეობით. ეროვნული სასწავლო გეგმის სიახლეების გათვალისწინებით, საგნობრივ ექსპერტებთან შეხვედრებით, ასევე სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარებით, ჩანს რომ სკოლამ წარმატებით გაიარა კურიკულუმის შემუშავების პროცესი. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თითოეულმა კათედრამ გაითვალისწინა წინა წლის მონაცემები, მოსწავლეთა საჭიროებები, დიაგნოსტიკური წერების შედეგები. მოსწავლეთა ინტერესებზე და სტანდარტზე დაყრდნობით შეირჩა თემები, თემებს მოერგო საკითხები, შედგა გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, შეირჩა სასწავლო რესურსები (მატერიალური, ელექტრონული), რათა საინტერესო იყოს მოსწავლისთვის სასწავლო

პროცესი. ასევე, ვიზიტის პროცესში ნათლად ჩანდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმას, რათა გათვალისწინებულ იქნას როგორც მოსწავლის, ასევე მშობლის უკუკავშირი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სხვადასხვა საშუალებით. სკოლის ტრადიციაა, საერთო შეხვედრაზე - პედაგოგებთან. სპეც. პედაგოგთან, ფსიქოლოგთან და მენეჯმენტთან ერთად იქნას განხილული ყველა საგნის კურიკულუმი- ძირითადი სამიზნე ცნებებისა და მათი მოცულობის მიხედვით, რათა დაიგეგმოს თანამშრომლობა დისციპლინებს შორის. ასევე, სასწავლო წლის დაწყებამდე, ეწყობა თითოეული კათედრის პრეზენტაციები მშობელთა კრებებზე კლასების მიხედვით. მოკლემიმოხილვისას მშობლები ეცნობიან ძირითად საკითხებს, ხოლო კლასების ზიარდება მშობელთა მეილებსა და კლასის ჯგუფებში. კურიკულუმების ჩარჩო განთავსებულია ვებ-გვერძე, შესაბამის ველში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

| კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების | მტკიცებულებები. |
|---|---|
| | 2024-2025- სასკოლო სასწავლო გეგმა; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ბრძანება N 2/94; სასკოლო თემის კვლევის კითხვარი; დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი; სკოლის ვებ-გვერდი |

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი, სამივე საფეხურზე, ორივე ფილიალში, არის მოსწავლეზე ორიენტირებული. ის ითვალისწინებს მოსწავლეთა ასკობრივ თავისებურებებს, სტანდარტით გათვალისწინებულ, კონკრეტული საფეხურის და საგნობრივ თავისებურებებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურისთვის განკუთვნილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. 2.1.2.1. შეესაბამება. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | ყველა უცხოურ ენაში, რომელიც ისწავლება მაარიფის სკოლების ორივე - ლისისა და მარნეულის კამპუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული), საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. აქტიურად არის დანერგილი სხვადასხვა აქტივობა: ტექსტი, ვიდეო მასალა, ანიმაცია, როლური თამაში და ა.შ. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | შემუშავებული კურიკულუმი შექმნილია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, წინარე ცოდნას, შესაძლებლობებს და ამაზე დაყრდნობით ქმნიან კურიკულუმს. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მომზადებული სამივე საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. ჩანს, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, ყოველ სასწავლო თემაში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება. ასევე გათვალისწინებულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და საბოლოოდ, მათემატიკის კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს სწავლასა და განვითარებაში. მათემატიკის კურიკულუმებში ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია წინარე ცოდნაზე. მაშასადამე, მათემატიკის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ორივე ფილიალის (ლისი, მარნეული)ფიზიკური აღზრდის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და |
| | ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ინდიკატორი 2.1.2.1 დადასტურებულია. |
| ტექნოლოგიები | მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების ორივე ფილიალის კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. |

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი როგორც ლისის ასევე მარნეულის ფილიალში შეესაბამება სატანდარტის მოთხოვნებს, კონკრეტულად გაწერილია როგორ ხდება გრძელვადიანი მიზნების/სამიზნე ცნებების დამუშავება და ასახულია თითოეულ თემაში, შეფასების ინდიკატორების მოთხოვნებიც. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურისთვის განკუთვნილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დაკონკრეტებულია სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების სახით განსაზღვრულია შუალედური მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. 2.1.2.2. შეესაბამება. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-IV კლასები), ჟანრი (V-XII კლასები), სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირებს. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. სასწავლო პროცესში გამოიყენება შემოქმედებითი დავალებები, პროექტული სწავლება და დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც |

| | |
|---|---|
| | ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც, მსგავსი ღონისძიებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებასაც. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში ზუსტადაა გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს შემოქმედებითი ტიპის დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი ტიპის დავალებების შესრულება მოსწავლეებისაგან თავისთავად მოითხოვს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, თანამშრომლობის და სხვა) გააქტიურებას და გაცნობიერებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი ასევე დადგინდა, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. ინდიკატორი 2.1.2.2 დადასტურებულია |
| ტექნოლოგიები | მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების ორივე ფილიალის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან |

| | |
|---|---|
| | დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებთან ინტერვიუ, სადაც ისინი საუბრობენ ფორმალურ თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. |

2. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილია ისეთი ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რისი განხორციელებაც სკოლის ბაზაზე შესაძლებელია იმ მრავალფეროვანი რესურსების, მათ შორის ლაბროტარიული აღჭურვილობით, რაც რეალურად არსებობს ორივე ფილიალში. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კუკრიკულუმებში მკაფიოდ ჩანს რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. 2.1.2.3. შეესაბამება. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მ.შ. საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ უცხოური ენების კათედრა ჩართულია მაარიფის სკოლების (500-მდე სკოლა) საგნობრივ გაერთიანებაში, რომელიც ეხმარება სკოლას ეროვნულ დონეზე არჩეული რესურსის გარდა გამოიყენოს სხვა ქვეყნის გამოცდილება საგანმანათლებო რესურსებთან მიმართებით და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის საგნებში კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, მათ შორის ონლაინ რესურსებს, ვიდეო თუ აუდიო მასალებს და ა.შ. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, გარდა ამისა, მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით არჩევს სხვადასხვა რესურსს, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო, რაც ეხმარება მასწავლებელს სწავლის შედეგების მიღწევაში. |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებული რესურსები: შესაბამისი კლასისძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, წარმატებით უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში მასწავლებელთათვის |

| | |
|---|---|
| | ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა), რომლებსაც პედაგოგები წარმატებით იყენებენ სასწავლო პროცესში. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ორივე ფილიალის (მარნეულისა და ლისის ) მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით.სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას.<br>რაც შეეხება მარნეულის ფილიალს სკოლას დროებით სარგებლობაში აქვს მარნეულის მერიისგან აღებული სპორტული მოედნის ფართი ( უსასყიდლოდ). რაც დასტურდება შესაბამის დოკუმენტით. ინდიკატორი 2.1.2.3 დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი ორივე ფილიალში შერჩეულია მათემატიკისა და ისტ-ის კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლის საჭიროების, საერთაშორისო ქსელური გამოცდილებით. სკოლაში არსებობს მაარიფის სკოლების საგნობრივი, საბიბლიოთეკო, სპეცპედაგოგების, ფსიქოლოგების გაერთიანებები, რომლებიც ეხმარება სკოლას ეროვნულ დონეზე არჩეული რესურსის გარდა გამოიყენოს სხვა ქვეყნის გამოცდილება საგანმანათლებო რესურსებთან მიმართებით და არაფორმალური განათლების დაგეგმვისას და სადამრიგებლო პროგრამების განხორციელებისას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა ამის საშუალებას იძლევა.<br>კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული რესურსები Tinkercad.com (3დ დიზაინი და ციფრული წრედების აწყობა), Scratch.mit.edu (ანიმაციებისა და თამაშების შექმნისთვის), Mblock (აპლიკაცია რობოტების დასაპროგრამებლად), Algo digital( ალგორითმების შესასწავლი აპლიკაცია |

| | |
|---|---|
| | (თამაში),Codejr.org (პატარებისთვის მარტივი თამაშებისა და ანიმაციების ასაწყობი საიტი ), Codehs.org ( javascript პროგრამირების ენის შესასწავლად), Arduino IDE (წრედების დასაპროგრამებელი კოდებისთვის), Lego Spike (ლეგოს რობოტების დასაპროგრამებელი აპლიკაცია), რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლასწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.<br>ბუნებისმეტყველება: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მოცემულია ისეთი ტიპის, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებაც ითვალისწინებს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას. აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია სკოლის ბაზაზე. |

3. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების ორივე ფილიალის კურიკულუმში მოცემულია მარავლფეროვანი, შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხდება დიფერენცირებული მიდგომით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები და შესაბამისად წარმოდეგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ინდ.სასწავლო გეგემებს, მრავაფეროვანი სასწავლო აქტივოებებით. სკოლაში სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო პროცესს, მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს როგორც სსსმ მოსწავლეებთან, ისე ტიპური განვითარების, სხვადასხვა მზაობის მქონე, მოსწავლეებთან. 2.1.2.4. შეესაბამება. |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით.<br>სკოლაში ირიცხებიან სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეები, რომელთაც ენობრივი ბარიერის გამო აქვს სსსმ მოსწავლეების სტატუსი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მოთხოვნით თურქეთში საქართველოს ხელშეწყობით დაიბეჭდა ქართული ენის სახელმძღვანელო, (500 ეგზემპლარი), რომელიც საკუთრივ თურქული ენის ფონემაზე არის გათვლილი, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ქართული ენის შესწავლა. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერინცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუაური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, როგორც შინაარსის, ასევე პროცესის დიფერენცირება. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპექსური დავალებები, ასევე მათი განხორცილების პროცესი.<br><br>რჩევა: სასურველია საგან მუსიკაში მოხდეს ინდ. გეგმებში მრავალფეროვანი რესურსების დამატება. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას გათვალისწინებულია ინკლუზიური სწავლების პრინციპები, შემუშავებულია ინდგეგმები, კურიკულუმების შედგენისას და ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნება და მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც |

| | |
|---|---|
| | კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, ქმნიან ადაპტირებულ შემოქმედებით დავალებებს. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ორივე ფილიალის (მარნეულსა და ლისის) მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში.იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და შაშუალი საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. ინდიკატორი 2.1.2.4 დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | მტკიცებულებით წარმოდგენილი ორივე ფილიალის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. თვითშეფასების ფორმაშიცაა |

| | |
|---|---|
| | აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნა, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები კათედრულ დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილი დოკუმენტაცით და გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლასწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში.<br>ბუნებისმეტყველება: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მოცემულია მრავალფეროვანი შემოქმედებითი ბუნების დავალებები,რაც მოითხოვს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. |

4. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ ისე განმსაზრღვრელ შეფასებას. შეფასების რუბრიკები შეესაბამება საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების ინდიკატორებსა და მიზნებს. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. 2.1.2.5. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად |

| | |
|---|---|
| | (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, სადაც გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. მტკიცებულებად წარმოადგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და შესაბამისი მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებისაკენ. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, წარმოდგენილი რუბრიკები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების მიხედვით, კრიტერიუმები შემუშავებულია სასწავლო შედეგების გათვალისწინებით და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სამივე საფეხურე სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე, |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| სპორტი | ორივე ფილიალის ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს,სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.მასწავლებელი აქტუალურად იყენებს სიტყვიერ შეფასებას,ინდიკატორი 2.12.5. დაკმაყოფილებულია. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | ორივე ფილიალის დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი, განმსაზღვრელი, შემაჯამებელი დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პროექტის, რეფერატისა და საგაკვეთილო მასალის ცოდნის შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, (ინტერვიურება, დიაგნოსტიკური ტესტი, შესასვლელი ბარათები). სკოლამ დამატებით წარმოადგინა V კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ასევე კათედრის ფარგლებში V კლასის განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრა მუშაობს შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა |

| | |
|---|---|
| | საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.<br>ბუნებისმეტყველება: სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით მტცდება, რომ ბუნებისმეტყველების სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეორვან, ძირითადად განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. რაც ესგ -ს შეფასების პრინციპებს შეესაბამება და გათვალისწინებულია საგნის სტანდარტით განსაზღვეული, შეფასების ინდიკატორებში ასახული მოთხოვნები. |

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; სასკოლო სასწავლო გეგმა; სამივე საფეხურის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალების ბარათები და მოსწავლეთა ნამუშევრები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ღონისძიებათა ბაზა; ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე

და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ასევე მათ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ ორივე ფილიალში სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეები ახორციელებენ სწორედ იმ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს რაც კურიკულუმებშია ასახული. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასკოლო სასწავლო გეგმის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, სამივე საფეხურის კურიკულუმების, ღონისძიებებისა და სასწავლო აქტივობების ბაზის, შემოქმედებითი დავალებებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების, კათედრის ოქმების, ანგარიშისა და პორტფოლიოს დოკუმენტების შედარების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. 2.2.1.1. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | სკოლას გააჩნია კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.<br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ცვლილებების შეტანა მათში. |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში კათედრას შეაქვს მასში ცვლილებები. წარმოდგენილია კურიკულუმის განვთარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიც და მისი განხორციელების ეტაპები რაც საშუალებას იძლევა მოსწავლე მაქსიმალურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლება მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი. |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ, სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციაში და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს. სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია შემოქმედებით დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმებში სამიზნე |

| | |
|---|---|
| | ცნებები, საკითხები, დავალების/შუალედური მიზნის პირობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. ასევე წარმოდგენილია მოსწავლეთა სწავლების შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| სპორტი | ორივე ფილიალის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნისთვის გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრამ განიხილა სკოლის გამოწვევები, მუშაობისას აქცენტი გააკეთა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, განაახლა სასკოლო კურიკულუმი და დასამტკიცებლად მოამზადა. ამასთან, მუშაობის პროცესში რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის დირექციამ უზრუნველყო სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა.<br>სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს უზრუნველყოფილია ერთის მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუებით, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებებით და მათი რეფლექსიით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.<br>ბუნებისმეტყველება: დაწყებითი საფეხურის, ბუნებისმეტყველების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს და ასევე მათ მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით მტკიცდება, რომ |
| | სკოლაში სწავლების პროცესი მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეები ახორციელებენ სწორედ იმ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს რაც კურიკულუმებშია ასახული. |

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, საჭიროებებიდან გამომდინარე გადაიხედოს უკვე არსებული კურიკულუმი და მოხდეს მისი ცვლილება, მოსწავლეთა ინტერესებიდან და ზოგადი საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესი ეფუძნება სკოლაში თანამშრომლობით კულტურასა და ეფექტიან

კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კარგად ჩანს (ესგ, კათედრის ოქმი,შეფასების რეუბრიკები,) რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს, მისი გაცნობა ხდება მოსწავლეებისთვის წინასწარ და ფასდება საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სამივე საფეხურზე, თითოეული საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, ვერიფიკაციის მექანიზმი, საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების სისტემის საფუძველი და შესაბამისი პრაქტიკა. თუმცა, მნიშვნელოვანია კათედრის პრაქტიკის გაუმჯობესება განმსაზღვრელი რუბრიკების შემუშუშავებისას (მაგალითად, მე-7 კლასი, ისტორია და მე-10 კლასი, მოქალაქეობა), რათა თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები უკეთ იყოს დაზუსტებული საკითხთან მიმართებით და, შესაბამისად, შეფასების კრიტერიუმი უკეთ ფორმულირებული. 2.2.1.3. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის მე-2 სემესტრი და VI კლასი) და განმავითარებელ შეფასებებს. შეფასება ხორციელდება |

| | |
|---|---|
| | ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის, მაგალითად, დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატისა და სხვა დავალებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება). სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტით კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხიც. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასებას განმავითარებელი უკუკავშირისთვის. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, შეფასების რუბრიკებიდან, მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი თუ რუბრიკა, მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან, რადგან თვითონაც მონაწილეობენ შეფასების პროცესში. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სახელმწინო ენის სწავლებისას გამოყენებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, ინტერვიუების დროს კი |

| | |
|---|---|
| | აღინიშნა, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| სპორტი | ორივე ფილიალის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი 2.2.1.1 დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების ორივე ფილიალის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან |
| | მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით.<br><br>ბუნებისმეტყველება: ბუნებისმეტყველებაში, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას.მე 5 კლასის მეორე სემესტრში და მე 6 კლასში ასევე განმსაზღვრელ შეფასებას.წინასწარ შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის- აცნობენ მშობლებს, განიხილავენ კათედრაზე. |

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისი ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასება ძირითადად ხორციელდება მასში გაწერილი მოთხოვნების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით სკოლა ინახავს მოსწავლეთა შეფასების დამამტკიცებელ დოკუმენტაციას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი. ბრძანება - N 2/94; სასკოლო სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; სამივე საფეხურის კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალებები და მოსწავლეთა ნამუშევრები; კათედრის ოქმები, ანგარიში და პორტფოლიო; ღონისძიებებისა და სასწავლო აქტივობების ბაზა; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; ინტერვიუს შედეგები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მასწავლებელები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს,რაც ასევე ასახულია და წინასწარაა გაწერილი საგნობრივ კურიკულუმებში.სკოლას ორივე ფილიალში ( ლისი, მარნეული) აქვს კეთილმოწყობილი, სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო სგანების ლაბორატორია. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), კურიკულუმებში, თითოეულ თემაში, მითითებულია სასწავლო რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან და დამატებითი რესურსები ინტერნედიან და სხვა წყაროებიდანაც. 2.2.2.1. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს.<br>საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები. ინგლისურ ენაში, საათობრივი დატვირთიდან გამომდინარე, დამხმარე რესურსად შერჩეულია საერთაშორისო სტანდარტით შექმნილი და აღიარებული სახელმძღვანელოები. დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები აგრეთვე იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს თურქული ენის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, სკოლა იყენებს თურქეთში გამოცემულ უცხოელი მოსწავლეებისთვის განკუთვნილ შესაბამისი დონის სახელმძღვანელოებს. საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. ყველა კლასში დამონტაჟებულია სმარტბორდი, რაც |

| | |
|---|---|
| | აადვილებს ელექტრონული რესურსების გამოყენებასა და ხელმისაწვდომობას. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის წევრები წლის დასაწყისში ირჩევენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე არჩევენ სასწავლო პროცესისთვის საჭირო დამატებით რესურსებს. რათა უფრო საინტერესო და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი და დაეხმარონ მოსწავლეებს ცოდნის გაღრმავებაში და მოტივაციის ამაღლებაში. მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეებს აუდიო-ვიდეო რესურსებით. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურზე, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია რესურსები: შესაბამისი კლასის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი (ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, Max Math, ტელესკოლა, silk სკოლა, youtube), მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos და სხვა. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ ყველა მითითებული რესურსი წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| სპორტი | ორივე ფილიალის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლასწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.<br><br>კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. ინდიკატორი 2.2.2.1. დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლას ორივე ფილიალში შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები( Tinkercad.com, Scratch.mit.edu, Mblock, Algo digital, Codejr.org, Arduino IDE, Lego Spike). სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.<br><br>ბუნებისმეტყველება: ბუნებისმეტყველების სწავლებისას მასწავლებელები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს,რაც ასევე ასახულია და წინასწარაა გაწერილი საგნობრივ კურიკულუმებში. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი, სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო სგანების ლაბორატორია,რომელსაც საჭიროებისამებს იყენებს დაწყებით საფეხურზეც. |

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა წინასწარ ამტკიცებს დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს,რაც თავდაპირველად მოცემულია საგნობრი კურიკულუმებში, კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები დამხმარე რესურსებს განიხილავენ და ერთმანეთთან ათანხმებენ კურიკულუმების შემუშავების პროცესშივე და ასეთი ფორმით ხდება მათი ვალიდაცია. 2.2.2.2. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. |

| | |
|---|---|
| | რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ყოველკვირეულ შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გფრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ ოწოდებულ რესურსებს. |
| სახელმწიფო ენა | ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც ასევე დასტურდება კათედრის სხდომის ოქმითაც. |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში მითითებულია დამხმარე სასწავლო რესურსები: ხანის აკადემია, EL.ge, math.ge, Max Math, ტელესკოლა, silk სკოლა, youtube, მათემატიკური ელექტრონული პროგრამები: geogebra, desmos და სხვა. ყველა კურიკულუმი შემუშავებულია მათემატიკის კათედრის მიერ, შესაბამისად მათში მითითებული დამხმარე რესურსები ვალიდურია. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი 2.2.2.2 დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლა ორივე ფილიალში ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. დაწყებით საფეხურის კურიკულუმის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება მათემატიკისა და ისტ-ის კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და |
| | სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან და განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის ერთ-ერთი საკითხია შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობა და ეფექტიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველკვირეული შეხვედრები კათედრებისა (რაც მასწავლებელთა საგაკვეთილო ცხრილშია მოცემული), აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ.<br><br>ბუნებისმეტყველება: სკოლა წინასწარ ამტკიცებს დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს,რაც თავდაპირველად მოცემულია საგნობრი კურიკულუმებში, კათედრის ოქმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. |

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებსიმეტყველო საგნების სწავლებისას გამოყენებული რესურსები ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის,რაც არ აფერხებს კურიკულუმით გათვალსიწინებული მიზნების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახული რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. 2.2.2.3. შეესაბამება. |
| უცხოური ენები | სკოლის ორივე კამპუსი სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. |
| სახელმწიფო ენა | მატერიალური ბაზის დათვალიერებისას და ინტერვის დროს გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე ყველა კლასს აქვს თავისი საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები და სკამები. სკოლას აქვს მომავლის ტექნოლოგიების ლაბორატორია, სადაც განთავსებულია სმარტბორბორდები, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სახელმწიფო ენის სწავლებისას. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს მოსწავლეთა რაოდენობის და ასაკის შესაბამისი ფართი, კომპიუტერები, ლეპტოპები, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი. ეს მატერიალური რესურსი, რომელიც სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებშია განთავსებული გამოყენება მათემატიკის მიმართულებით სამივე საფეხურზე. საკლასო ოთახებში, სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სასკოლოსასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებლად. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სპორტი | ორივე ფილიალის კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი |
| | (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. ინდიკატორი 2.2.2.3 დადასტურებულია |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება მომავლის ტექნოლოგიების ლაბორატორიაში, სადაც განთავსებულია სმარტბორბორდები, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული-რობოტიკის ლაბორატორიებით-სმარტბორბორდებით, კომპიუტერებით, პროექტორებით, პრინტერებით, რაც აადვილებს 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას მოსწავლეებში. საკლასო ოთახები აღჭურვილა შესაბამისი ტექნოლოგიებით - 34 სმარტბორდია დამონტაჟებული საკლასო ოთახებში, ბიბლიოთეკაში, შეხვედრის ოთახებში, ლაბორატორიებში. 14 პროექტორი, 27 პრინტერი, 172 კომპიუტერი - მათ შორის პერსონალური კომპიუტერები ემსახურება სასწავლო მიზნებს, STEM ლაბორატორიებისთვის შესყიდულია თანამედროვე სტანდარტების მასალები, დანადგარები, სასწავლო თვალსაჩინოებები, რეაქტივები და აპარატურა. სკოლაში ასევე კეთილმოწყობილია რობოტიკის, IT ლაბორატორიები. გარდა ამისა, სკოლების მედიათეკები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტები. |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.<br><br>ბუნებისმეტყველება: დაწყებით საფეხურზე,ბუნებისმეტყველების სწავლებისას გამოყენებული რესურსები ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის,რაც არ აფერხებს კურიკულუმით გათვალსიწინებული მიზნების მიღწევას. |

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი ორივე ფილიალში სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციური ადამიანური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა; სამივე საფეხურის კურიკულუმები;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ბრძანება
N 2/94 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების
რუბრიკები;

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ- ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე

და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

◦ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლაში ხორციელდება საგნობრივი თემატური გეგმების მონიტორინგი და შეფასება. ასევე, შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციები უმეტესწილად მასწავლებლების მხარდაჭერასა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებაზეა მიმართული. ჯგუფის შემადგენლობაში არიან სკოლის დირექტორი, მრჩეველი განათლების საკითხებში, დირექტორის მოადგილე, სკოლის ფსიქოლოგი და კათედრების ხელმძღვანელები. საგაკვეთილო დაკვირვება თითოეული პედაგოგისთვის ხდება სემესტრში ორჯერ-გეგმიური დაკვირვების გრაფიკი დგება სასწავლო წლის დასაწყისშივე და ვრცელდება ღიად, ხოლო მეორე შემთხვევაში დასწრების თარიღი არ არის პედაგოგისთვის ცნობილი. აღნიშნული ჯგუფი იკრიბება პერიოდულად, სადაც ჯგუფის წევრები აჯამებენ განხორციელებულ საქმიანობას, შეიმუშავებენ ახალ ნაბიჯებს და ადგენენ შესაბამის ოქმებს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩო-გეგმა, რის საფუძველზეც სასწავლო წლის განმავლობაში ხდება პროცესების მონიტორინგი, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპი, მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების რუბრიკას დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას ყველა ტიპის მონიტორინგი გამოიყენება შემდგომი პროცესის დასაგეგმად და პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლაში მუშაობს დემინგის სისტემა- დაგეგმე, შეამოწმე, შეაფასე და ხელახლა დაგეგმე. ეს ეხება როგორც საგაკვეთილო პროცესს, ასევე სკოლაში მიმდინარე დიდ პროცესებს- კურიკულუმის შესრულების მონიტორინგს, ერთწლიანი თუ სტრატეგიული დაგეგმარების პროცესებს და ასე შემდეგ. როგორც მოსწავლის ობიექტური შეფასება ადგენს მის განვითარებას და გამოკვეთს პრობლემებს სწავლასა და სწავლებაში, ასევე პროცესების მონიტორინგი პრობლემის გადაჭრის პირდაპირი გზაა. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკუთარი გამოცდილების ანალიზის და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, მათ აქვთ მზაობა იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარდა ამისა ხვეწენ საკუთარ პრაქტიკას და ზრუნავენ განვითარებაზე.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აძლევს უკუკავშირს. სწორად გაცემული რეკომენდაციები და უკუკავშირი და მიმღებლობა

მასწავლებლების მხრიდან, განვითარების კარგი საშუალებაა. საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს. მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა სასკოლო საზოგადოების გაძლიერების, მხარდაჭერის და პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის მიზნით ისევ გეგმავს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტების საშუალებით შეაფასოს მოსწავლის სწავლის პროცესი დაწყებით საფეხურზეც, დაადგინოს საჭიროება, სად სჭირდება მოსწავლეს დახმარება. აღნიშნული დიაგნოსტირება მასწავლებელსაც დაეხმარება შეაფასოს საკუთარი მუშაობის პროცესი და იფიქროს, რა ფორმით უპასუხოს გამოწვევებს. სკოლა შეიმუშავებს ფორმას, სადაც გაწერილი იქნება მიღწევების ანალიზი და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა.

საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;

სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების ანგარიში; საგნობრივი კათედრები სამოქმედო გეგმები; გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებული საფეხურის მასწავლებლის შეფასება;

i. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

ორივე ფილიალის სასკოლო თემატური გეგმები ისეა გაწერილი თითოეული საგნის მიხედვით, რომ იძლევა საშუალებას ინტეგრირებულად მოხდეს დაკვირვება და გათვალისწინებულ იქნას შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. სკოლა იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას და სოლო ტაქსონომიას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაიაზროს საკუთარი მიღწევები, ხოლო მასწავლებელი ფოკუსირდეს მოსწავლის შესაძლებლობებზე და იფიქროს მის პიროვნულ განვითარებაზე. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, როგორიცაა ჯგუფური

მუშაობის, პრეზენტაციის რუბრიკები. შეფასება ხორციელდება მასწავლებელთა უკუკავშირების გათვალისწინებით. ყოველწლიურად ტარდება დიაგნოსტიკური შეფასება სხვადასხვა საგანში, რომლთა შედეგებიც განიხილება კათედრებზე დეტალურად და ხდება შედეგების გაანალიზება.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რის შესახებაც სისტემატიურად იღებს ინფორმაციას კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლებისგან. სემესტრში ერთხელ სკოლაში ხდება მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შეფასება, როგორიცაა ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო კლიმატი, ურთიერთობები თანატოლებთან. შეფასებისას მოსწავლეებს არამარტო კოგნიტური მხარე ფასდება არამედ მის სოციალურ ემოციურ განვითარებას, როგორ იქცევა სოციუმში არაფორმალური აქტივობების დროს (ექსკურსია, საკლუბო მუშაობა და სხვა), ეს პროცესი მაარიფის ორივე ფილიალში მიმდინარებს და „ლიდერთა შეფასება ჰქვია“ მოსწავლეები ფასდებიან ყველა საგნის მასწავლებლის, დამრიგებელის, ფსიქოლოგის და დირექციის შეფასებებით, ხოლო ქულათა ჯამი ავლენს კლასის ლიდერებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაწყებითის კათედრა პერიოდულად ატარებს დაწყებითი საფეხურის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვებს, როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეების. აღნიშნული გამოკითხვების ანალიზი იძლევა საშუალებას შეიქმნას გარკვეული სურათი სასწავლო პროცესის შეფასებასთან დაკავშირებით. მასწავლებლების მიერ მომზადებული საგნისა და დამრიგებლის ანგარიშებიც იძლევა სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას. არის მზაობა, შეფასებისთვის გამოიყენონ არამარტო მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, არამედ ინფორმაცია მოიპოვონ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, როგორიცაა: სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები სასწავლო პროცესის შეფასების დროს გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების შემდეგი მეთოდები: დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი და ასევე შემაჯამებელი დავალების ანალიზი.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით საფეხურის კურიკულუმის შეფასება განხორციელდა სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. კერძოდ, რამდენად ეფექტური იყო სასწავლო პროცესში გამოყენებული

სწავლის სტრატეგიები, დამხმარე სასწავლო რესურსი, სკოლის მატერიალური რესურსი, შეთავაზებული სერვისები, განხორციელებული სადამრიგებლო პროგრამები, სკოლის ადამიანური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ბრძანება N 2/94 შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში თვითშეფასების დოკუმენტი; აქტივობის შეფასების სქემები; შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა; კითხვარები, დაკვირვების ფურცელი-დამრიგებლის პორტფოლიოში; ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ- ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე
და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

○ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი კურიკულუმის გადასინჯვასთან დაკავშირებით სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება, კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად სკოლა სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს პროცესების რეფლექსიას, აღწერს მიღწეულ შედეგებს და წერილობითი სახით წარმოადგენს რეფლექსიის თემებს, რომლებიც გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ კი სკოლა იმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწს და განავითარებს კურიკულუმს სამომავლოდ.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება, როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. ახალ კურიკულუმში ცვლილებები აისახება თემების განაწილების, დროის, თუ შემოქმედებითი დავალებების ცვლილების კუთხით. საგნობრივი ჯგუფები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ეწევიან კოორდინირებულ მუშაობას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გაწერილი შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი. საგნობრივი კურიკულუმების შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნა განხორციელების მონიტორინგი, შეფასების სისტემა, როგორც მოსწავლის, (შეფასების რუბრიკა) აგრეთვე პედაგოგის მხრიდან. (რეფლექსია). დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. სკოლის

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში თვითშეფასების დოკუმენტი; საგნობრივი კურიკულუმები.

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი სასკოლო გეგმის განხორციელების შეფასების ანგარიში.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ- ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე

და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

| | | |
|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა |

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია სტანდარტი 1 სტანდარტი 3 სტანდარტი 4 დამატებითი დოკუმენტაცია თარიღი 15.07.2025 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები


ნ. ჭოლაშია